

Erlaubnisirrtum

Im **deutschen Recht** betrifft der Erlaubnisirrtum das Bestehen oder die rechtlichen Grenzen eines anerkannten Rechtfertigungsgrundes. Der Täter nimmt hier also entweder einen Rechtfertigungsgrund an, den die Rechtsordnung (schon von seiner Existenz her) nicht anerkennt, oder er dehnt die Grenzen eines an sich anerkannten Rechtfertigungsgrundes zu weit aus. Damit wirkt sich der Irrtum auf das Unrechtsbewusstsein aus. Man spricht insofern auch von einem „indirekten Verbotsirrtum“, weshalb dieser unter die Regelung des § 17 dStGB (Verbotsirrtum) fällt. Es entfällt somit lediglich bei Unvermeidbarkeit des Irrtums die Schuld, ansonsten ist der Täter strafbar und es ist nur eine fakultative Strafmilderung nach § 49 Abs. 1 dStGB möglich. Im **georgischen Recht** enthält Art. 36 gStGB eine allgemeine Irrtumsregelung, wonach derjenige, der bei der Begehung der Tat nicht weiß, dass seine Handlung verboten ist, nur dann nicht strafbar ist, wenn der Irrtum verzeihlich ist. Dies ist der Fall, wenn die Person in der betreffenden Situation nicht wusste oder nicht wissen konnte, dass sie Unrecht begeht. Ist der Irrtum nicht verzeihlich, kommt eine Fahrlässigkeitsstrafbarkeit in Betracht. Das fehlende Unrechtsbewusstsein kann dann unter bestimmten Umständen aber als Schuldausschließungsgrund wirken. Das deutsche und das georgische Recht unterscheiden sich damit in der Rechtsfolge. Während ein vermeidbarer bzw. unverzeihlicher Erlaubnisirrtum im deutschen Strafrecht der Strafbarkeit wegen einer Vorsatztat nicht entgegensteht, kommt nach georgischem Strafrecht nur eine Fahrlässigkeitsstrafbarkeit in Betracht, sofern das fehlende Unrechtsbewusstsein nicht zum Schuldausschluss führt. Das deutsche Recht erweist sich damit im Vergleich als strenger. (Mpi/Gtu)

შეცდომა ნებართვაში

გერმანულ სამართალში ნებართვაში შეცდომა უკავშირდება აღიარებული გამამართლებელი გარემოების არსებობას ან მის სამართლებრივ ფარგლებს. მაშასადამე, პირის წარმოდგენით სახეზეა ისეთი გამამართლებელი გარემოება, რომელსაც (მის არსებობას) კანონმდებლობა არ ცნობს, ან კიდევ იგი ზედმეტად ფართოდ განაწილებს აღიარებული გამამართლებელი გარემოების ფარგლებს. ამით შეცდომა გავლენას ახდენს უმართლობის შეგნებაზე. საუბარია ამდენად აგრეთვე „აკრძალვაში არაპირდაპირ შეცდომაზე“, რამდენადაც იგი ექცევა გსსკ-ის 17-ე პარაგრაფის რეგულირების ქვეშ (აკრძალვაში შეცდომა). შესაბამისად, გამოირიცხება ბრალი მხოლოდ მაშინ, როდესაც შეცდომის თავიდან აცილება შეუძლებელია, სხვაგვარად პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და შესაძლებელია მხოლოდ სასჯელის ფაკულტატიურად შემსუბუქება გსსკ-ის 49 პარაგრაფის 1-ელი ნაწილის მიხედვით. **ქართულ სამართალში** სსსკ-ის 36-ე მუხლი შეიცავს შეცდომის ზოგად რეგულაციას, რომლის თანახმად, ის, ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის, აკრძალულია, არ დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომა მისატყვებელია. ასეთი შემთხვევაა,

როდესაც შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას. თუკი შეცდომა არ არის მისატყვებელი, პირს შესაძლებელია პასუხისმგებლობა დაეკისროს გაუფრთხილებლობისთვის. უმართლობის შეგნების არარსებობა შესაძლებელია მაშასადამე მოგვევლინოს გარკვეულ გარემოებებში როგორც ბრალის გამომრიცხავი გარემოება. ამრიგად, გერმანული და ქართული სამართალი განსხვავდებიან სამართლებრივი შედეგებით. თუკი გერმანულ სისხლის სამართალში თავიდან აცილებადი, ესე იგი მიუტყვებელი შეცდომა ნებართვაში არ გამორიცხავს დასჯადობას განზრახი ქმედებისთვის, ქართული სისხლის სამართლის მიხედვით განიხილება მხოლოდ გაუფრთხილებლობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როცა უმართლობის შეგნების არარსებობის გამო ბრალი არ გამოირიცხება. გერმანული სამართალი არის შესაბამისად შედარებით მკაცრი. (Mpi/Gtu)